ანა ანუშიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დავით ბერიძე
ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ბათუმის № 1 საჯარო სკოლა

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უნივერსალური დიზაინის ციფრული და მატერიალური სასწავლო რესურსების გამოყენებით

DOI: 10.52340/erp.2024.05.31

აბსტრაქტი

თემა ეფუძნება 2020-2023 წლებში ევროპის ქვეყნების, იაპონიის, ჩინეთი საუკეთესო გამოცდილებას და 2023-2024 წლებში ჩვენს მიერ ჩატარებული სამი ფოკუს ჯგუფის და Forms კითხვარის გზით ნაჩვენებ შედეგებს, რომლის ფარგლებშიც შეგროვდა სხვადასხვა სკოლამდელი აღზრდის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამივე საფეხურის მონაცემები. გამოიკვეთა რომ არითმეტიკის საფუძვლების, ფინანსური უნარების და ეკონომიკური წიგნიერების თვალსაზრისით აქტივობების განხორციელება, შესაბამისი ინფორმაციის გააზრება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფრაგმენტულია და არ ატარებს სისტემურ, თანმიმდევრულ ხასიათს, რომელიც უზრუნველყოფდა თითოეული მოსწავლის სააზროვნო უნარების განვითარებას ფინანსური და ეკონომიკური მიმართულებით.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ესაჭიროებათ მოქნილი და ეფექტიანი სასწავლო პროექტები, რომლებიც სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას, შესაბამისი უნივერსალური დიზაინის ციფრული და მატერიალური რესურსების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება; ზოგადი განათლება; არაფორმალური განათლება; უნივერსლური დიზაინის სასწავლო რესურსების შექმნა და გამოყენება;

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების ეფექტიანი სწავლება რაც თავის მხრივ მოიცავს, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, როგორც თეორიული, ისე პრატქიკული უნარების დაწავლას და განვითარებას სახალისო აქტივობების გამოყენებით მოითხოვს მასწავლებლების და მშობლების ან/და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან მტკიცე და ეფექტიანი თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებას და განვითარებას. მშობლის მხრიდან სწავლა-სწავლების პროცესში ეფექტიანი ჩართულობისთვის უპირველესია, გაეცნოს სასწავლო პროგრამას, იმ აქტივობებს და თეორიულ მასალას, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სხვადასხვა თემის თუ საკითხის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გააზრებისა და სიღრმისეული დამუშავების მიზნით. ჩაერთოს იმ აქტივობებში, რომლებსაც სთავაზობს მასწავლებელი. არსობრივი საუბრები აწარმოოს შვილთან ყოველდღიურ სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებით, გამოიყენოს შეკითხვები: რა ისწავლეთ? რა აქტივობებში მიიღეთ მონაწილეობა? როგორ გამოიყენებ ახალ ცოდნას? მშობელს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს შვილის კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარების განვიტარებას თუ თავად ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციებში უბიძგებს გაიხსენოს და გამოიყენოს ნასწავლი მასალა ან ახალი უნარი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მოსწავლეთა საკითხით დაინტერესების ხელოვნებას, რაც განმსაზღვრელია თითოეული მათგანის საკლასო აქტივობებში ჩართულობისთვის. ცალსახაა რომ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ზრდის ზრდა დიდ ძალისხმევასა და ყოველდღიურ შრომას მოითხოვს მასწავლებლისგან, მაგრამ ორი მთავარი ინსტრუმენტის ეფექტიანად გამოყენება მნიშვნელოვნ შედეგს მოიტანს. პირველი: დავანახოთ და დავუსაბუთოთ მოსწავლეს რომ ყველაფერი რასაც ვთავაზობთ სწავლ-სწავლების პროცესში მას სჭირდება რეალურ ცხოვრებაში და მეორე, შინაგანი მოტივაციის შენარჩუნებისთვის გამოვიყენოთ გარეგანი მოტივაციის ინსტრუმენტები: დამსახურებული, არგუმენტირებული შექება, წამახალისებელი აქტივობები და ა.შ. ასევე შედეგიანია მოსწავლეების ჩართვა სასწავლო რესურსების, აქტივობების შექმნისა და გარდაქმნის პროცესში. დაინტერესდით მათი უკუკავშირით, აღიარეთ და შეაფასეთ მათი

ინიციატივები, დაეხმარეთ გამოხატონ აზრები, განწყობები, სურვილები. მიეცით რჩევები შემდეგი განვითარებისთვის.

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების თვალსაზრისით მაღალი მაჩვენებლის მქონე ევროპის ქვეყნების, იაპონიის, ჩინეთი საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით და 2023-2024 წლებში ჩვენს მიერ, ეროვნულ დონეზე ჩატარებულ კვლევის შედეგად, რაც თავის მხრივ მოიცავდა ფოკუს ჯგუფების, ანკეტირების და სიღრმისეული ინტერვიუებისგან შემდგარ პროცესს, რომლის ფარგლებშიც შეგროვდა და დამუშავდა სხვადასხვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და სკოლის სამივე საფეხურის მოსწავლეების, მათი მშობლების და მასწავლებლების პასუხები - გამოიკვეთა რომ არითმეტიკის საფუძვლების და ფინანსური უნარების თვალსაზრისით, როგორც სკოლამდელი, ისე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში აქტივობების განხორციელება, შესაბამისი ინფორმაციის გააზრება ან საერთოდ არ ხდება ან ფრაგმენტულია და არ ატარებს სისტემურ, თანმიმდევრულ ხასიათს, რომელიც შექმნიდა ბაზას პირველი კლასის მოსწავლეებისთვის, ამ მიმართულებით აზროვნების შემდგომი განვითარებისთვის.

კვლევის შედეგად და საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე დადგინდა, რომ როგორც სკოლამდელი აღზრდის ისე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა მიეწოდოთ მრავალფეროვანი სასწავლო მასალით გამდიდრებული სწავლა-სწავლების რესურსები, რომელებიც დაეხმარება მათ ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების მიმართულებით სასწავლო კურიკულუმის აგებასა და განხორციელებაში დიფერენცირებული მიდგომით.

აღსანიშნავია, რომ ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება არის მეწარმეობის საფუძველი, რასაც მოაქვს მეწარმეობის დაწყების და განვითარებისთვის აუცილებელი საბაზისო ცოდნა და უნარები. მეწარმეობა არის უნარი, რომლის განვითარებაც მოამზადებს მოსწავლეს, იმისთვის რომ საკუთარი და თანამოაზრეების სამეწარმეო იდეები რეალობად აქციოს, წამოიწყოს, ორგანიზება გაუწიოს და განავითაროს მომგებიანი სამეწარმეო საქმიანობა. მეწარმეა ადამიანი, რომელსაც აქვს უნარი და სურვილი შექმნას, მართოს და მიიღოს მოგება საკუთარი ან თანამოაზრეებთან ერთად დაწყებული საქმისგან და სწევს

გონივრულ რისკებს მოგების მიღებისთვის. მეწარმეობის, როგორც უნარის და შესაძლებლობის განვითარების პირდაპირპროპორციული შედეგი ახალი საწარმოების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა. სწორედ მეწარმეები არიან ახალი იდეებისა და გამოგონებების მთავარი წყაროები. მეწარმეები მხარს უჭერენ წარმოების პროცესში კვლევის აქტიურად გამოყენების პრაქტიკას, ავითარებენ და უზრუნველყოფენ ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების მიწოდებას ბაზარზე, ქმნიან ახალ საწარმოებსა და სამუშაო ადგილებს, რითაც წვლილი შეაქვთ საზოგადოების და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების და მათ რიცხვში ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანია, სასკოლო საზოგადოებას ჰქონდეს მუდმივად განახლებადი ინფორმაცია იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც საერთოა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სწორედ ამ მიზნით, შეგვიძლია გავაერთიანოთ და ერთ სიბრტყეზე წარმოვადგინოთ ყველა ის გამოწვევა, რომელიც საერთოა სკოლებისთვის, მთელს მსოფლიოში. აღნიშნულ გამოწვევების გამკლავების და შესაბამისად პროცესების მართვისთვის კი თითოეულ სკოლას უნდა ჰქონდეს, სკოლების ავტონომიურობის ფარგლებში, უშუალოდ მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებლობებისა და საჭიროებზე მორგებული მექანიზმები და მართვის ეფექტიანი დოკუმენტები.

სიღარიბე. სწავლა-სწავლების პროცესში სრულყოფილად ჩართვისთვის და განვითარებისთვის, ყველა ბავშვს ესაჭიროება ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მაგალითად: ჯანსაღი და სტაბილური საცხოვრებელი გარემო და სამეცადინო სივრცე, ჯანსაღი კვება, დროული და ადეკვატური სამედიცინო სერვისების მიღება, სეზონის შესაფერისი სამოსი, საჭირო სასწავლო და სათამაშო ნივთები. მაშინ, როდესაც ეს ბაზისური პირობები არ არსებობს სიღარიბის გამო, იქმნება სტრესული გარემო, ბავშვი ვერ ახერხებს კოცენტრირება მოახდინოს სწავლაზე, სწავლა - სწავლების პროცესში ჩართულობაზე, უჩნდება კომპლექსები, ადარებს საკუთარ თავს და საკუთარ მატერიალურ

შსაძლებლობებს თანატოლებს და თანატოლების მატერიალურ შესაძლებლობებს, შესაბამისად იზრდება ალბათობა, რომ გახდეს ბულერი ან ბულინგის მსხვერპლი.

ოჯახური პრობლემები. ყველაზე გავრცელებული ოჯახური პრობლემებია: განქორწინება, განქორწინების შემდგომი კონფლიქტები და დისკომფორტი, მარტოხელა მშობელი, სხვადასხვაგვარი ფორმის ძალადობა ოჯახში, ოჯახის წევრების ფსიქიკური ავადობა/დამოკიდებულება მავნე ნივთიერებებზე. თითოეული ჩამოთვლილი პრობლემა, სულ მცირე, იწვევს ბავშვში არასტაბილურობის და შიშის განცდას, რაც ხელს უშლის მის ნორმალურ განვითარებას, სწავლაზე ფოკუსირებას და სწავლა - სწავლების პროცესში ჩართულობას, ყველაზე ცუდ შემთხვევაში კი ბავშვისთვის როლურ მოდელად შეიძლება იქცეს არაჯანსაღი ცხოვრების წესი.

ტექნოლოგიების სიმწირე ან/და არაეფექტიანი გამოყენება. ტექნოლოგიები ისევე, როგორც ყველა სიახლე კაცობრიობის ისტორიაში, აუცილებელია სწორად გავაცნოთ მოსწავლეებს, ვასწავლოთ მათი გამოყენება როგორც თვითგანვითარებისთვის, ისე გარემოსა და ქვეყნის განვითარების მიზნით. ამ კეთილი მიზნებისთვის, მოსწავლეებისთვის სწავლა - სწავლების პროცესში ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათი გამოყენება. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა სახლში იმუშაონ ტექნოლოგიების გამოყენებით, უნდა ჰქონდეთ სკოლაში ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეები ვერ მიიღებენ თანამედროვე გამოწვევების ადეკვატურ განათლებას, რომელსაც სწავლების დასრულების შემდეგ გამოიყენებენ ან სწავლის გაგრძელების ან დასაქმების მიზნით.

ბულინგი და მობინგი. ინდივიდუალური და ჯგუფური ძალადობა, კიდევ ერთი მნიშნელოვანი გამოწვევაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. როგორც წესი, განარჩევენ ფსიქოლოგიურ, ვერბალურ, ფიზიკურ და კიბერ ძალადობის ფორმებს. როგორც წესი ამ პრობლემის პრევენციისთვის მუშაობა ადრეული ბავშვობიდან, ჯერ კიდევ საბავშვო ბაღიდან უნდა დაიწყოს. აღსაზრდელებს დეტალურად, სხვადასხვა როლური თამაშის, ვიზუალიზაციის საშუალებით უნდა განემარტოთ თუ რა არის ბულინგი/მობინგი, როგორ უნდა დაიცვან თავი, რა უნდა მოიმოქმედონ თუ მსხვერპლი გახდნენ და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სწორი სოციალური აზროვნება, რომ ბულინგი/მობინგი დანაშაულია და

მსგავსი შემთხვევის შესახებ აუცილებლად უნდა მიმართონ (დარეკონ/გაუგზავნონ წერილი) შესაბამის ორგანოებს.

მოსწავლის ქცევა და დამოკიდებულება. აქ იგულისხმება მოსწავლის ასოციალური, სწავლა-სწავლების პროცესის გამართულად ფუნქციონირებისთვის, სასკოლო კულტურასთან და უსაფრთხო სასწავლო გარემოსთან შეუსაბამო ქცევა მაგ: უხეშობა, გულგრილობა, უპატივცემულო დამოკიდებულება, დაუმორჩილებლობა. მოსწავლის ასოციალური ქცევის მართვა და სოციალურ ქცევად გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ ორ შემთხვევაში: (1) როდესაც სკოლაში გვაქვს მდგრადი სასკოლო კულტურა და უსაფრთხო სასწავლო გარემო. (2) როდესაც ერთმანეთთან შეთანხმებულად/კოორდინირებულად თანამშრომლობენ კლასის ხელმძღვანელი და მშობლები ან/და მოსწავლის კაონიერი წარმომადგენელი პრობლემის გადაჭრისთვის.

„უკანა მერხზე მჯდომი“ მოსწავლე -პრობლემა რომელსაც საფუძველი ხშირად პირველივე კლასიდან ეყრება არასწორად წარმართული სწავლა - სწავლების პროცესის შედეგად. ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია მხოლოდ გამუდმებული ტესტირებებით, საჭიროა ისეთი სწავლა - სწავლების პროცესი, რომელიც ყველა მოსწავლეზე იქნება მორგებული, რომელში ჩართვაც ყველა მოსწავლეს შეეძლება და ყველასთვის იქნება საინტერესო. პატარა ნაბიჯებით საერთო მიზნების მიღწევისკენ.

მშობლების ჩართულობა. მშობლების ჩართულობა სწალა - სწავლების პროცესში აუცილებელია, მაგრამ აუცილებელია ის მიმართული იყო მოსწავლის პიროვნული და გონებრივი განვითარებისკენ და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შეფასებების კონტროლით და არასასურველი შეფასების აღმოჩენის შემთხვევაში მკაცრი სასჯელის ორგანიზებით.

ჯანმრთელობის პრობლემები. უსაფრთხოება გარემოს უზრუნველყოფა სკოლაში და სახლში. ორიენტირება მოსწავლისთვის უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაზე გულისხმობს როგორც ჰიგიენის დაცვას, ისე მთლიანად სკოლის შენობის ადაპტირებას სხვადასხვა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. კვალიფიციური ფსიქოლოგის/ფსიქოლოგთა ჯგუფის მუდმივად ყოფნა სკოლაში, რაც უზრუნველყოფს პოზიტიურ და მდგრად ფსიქოლოგიურ გარემოს.

დაფინანსება. სწავლა - სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელია როგორც სათანადო კვალიფიკაციის მქონე მოტივირებული მასწავლებლების დაქირავება, ისე სრულად მოწყობილი საკლასო ოთახების, თემატური სამუშაო სივრცეების და მთლიანად სკოლის შენობის თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ ყველაფერს სჭირდება დაფინანსება. ამიტომ, აუცილებელია სკოლის ლიდერის და მისი გუნდის მხრიდან მასწავლებლების განვითარებისთვის და სკოლის შენობის უკეთ მოწყობისთვის საჭირო დაფინანსების მოზიდვა, სასკოლო რესურსების ეფექტიანად მართვა. ამისთვის კი სკოლის ლიდერი მუდმივად უნდა თანამშრომლობდეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, შესაბამის კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებთან, აფართოებდეს საქმიან კავშირებს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით, ერთვებოდეს სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებში.

რომ შევაჯამოთ, ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების სწავლა-სწავლების მიმართულებით, თანმიმდევრული სასწავლო პროგრამების მომზადება და მიწოდება არის უპირველესი საზრუნავი, როგორც სკოლამდელი აღზრდის, ისე ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის, რაც მოიაზრებს ზემოთ აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, უნივერსალური დიზაინის ციფრული და მატერიალური რესურსების შექმნას, მათი გარდაქმნის და გამოყენების ინსტრუქციებისა და გზამკვლევების მომზადებას, სწავლა-სწავლების პროცესში კი თითოეული აღსაზრდელის, მოსწავლის, ინტერესებზე და საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიით, მათი შინაგანი მოტივაციის შექმნას და ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

სწავლების და განვითარების თეორიები
https://aducation2021.blogspot.com/2021/07/blog-post_20.html
რთული ქცევის მართვის გზამკვლევი
https://aducation2021.blogspot.com/2021/05/blog-post_28.html
როგორ ვითანამშრომლოთ ეფექტიანად, გზამკვლევი
https://aducation2021.blogspot.com/2021/05/blog-post.html
ინფოგრაფიკების/გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენების ინსტრუქციები და იდეები
https://aducation2021.blogspot.com/2024/10/blog-post.html

Ana Anushidze
Shota Rustaveli State University of Batumi
David Beridze
Ilia Chavchavadze Public School No. 1 in Batumi

Teaching financial and economic literacy in general education institutions using digital and physical learning resources of universal design

Abstract

The theme is based on best practices from European countries, Japan and China in 2020-2023, and the results were presented in the form of three focus groups and a questionnaire that we conducted at national level in 2023-2024, collecting data from various pre-school and secondary schools. It was revealed that the implementation of activities in terms of the basics of arithmetic, financial skills and economic literacy, the understanding of relevant information in general educational institutions is fragmented and does not have a systematic, consistent character, which would ensure the development of thinking skills of each student in the financial and economic direction.

Based on the urgency of the issue, general educational institutions need flexible and effective educational projects that ensure the involvement of all students in the educational process, using digital and material resources of appropriate universal design.

Keywords: financial and economic literacy; general education; non-formal education; creation and use of universal design learning resources;